მესამე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება 5 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის სხვადასხვა ტიპის ცოდნას: მცირე ზომის მარტივი ტექსტის გააზრება, წინადადებების დასრულება ილუსტრაციების მიხედვით, სიტყვაში გამოტოვებული ასოს ჩასმა, ილუსტრაციის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა და საბაზისო ენობრივი ერთეულების ამოცნობა. ყველა კითხვა არჩევითპასუხებიანია.

#1 წაკითხულის გააზრება — Read and choose the correct answers to the questions.

ქულა: 10
საკითხი: 5 (თითო 2 ქულა)

პირველ სავარჯიშოში მონაწილემ უნდა წაიკითხოს მცირე ზომის მარტივი ტექსტი და ამოიცნოს სწორი პასუხები 5 შეკითხვისთვის.

#2 წინადადების დასრულება ილუსტრაციის მიხედვით - Complete the sentence according to the photo. Choose the correct word from A, B, C or D.

ქულა: 20
საკითხი: 10 (თითო 2 ქულა)

მეორე სავარჯიშოში მოსწავლე უნდა დააკვირდეს ფოტოს და 4 სავარაუდო პასუხიდან უნდა შეარჩიოს ისეთი სიტყვა, რომელიც შინაარსობრივად სწორად დაასრულებს წინადადებას.

მაგალითი:

The ball is … the box. **A. in** B. on C. next to D. opposite

სწორი პააუხია **A. in**, რადგან ბურთი არის ყუთში.

#3 სიტყვათშენება - Choose the correct letter to complete the word.

ქულა: 30
საკითხი: 10 (3 ქულა თითოეულში)

ამ დავალებაში მონაწილემ უნდა ამოიცნოს სიტყვაში გამოტოვებული ასო.
მაგალითად, მოცემულია: **საწერკალამი: p_n** A. e B. a C. o D. i

სწორი პასუხია **A. e,** რადგან სიტყვაში „pen" ასო "e" არის გამოტოვებული.

#4 სურათის აღწერა - Look at the photo and choose the best answer to the questions.

ქულა: 10
საკითხი: 5 (თითო 2 ქულა)

მეოთხე სავარჯიშოში მოცემულია ილუსტრაცია. მონაწილემ სურათის მიხედვით უნდა უპასუხოს 5 შეკითხვას.

მაგალითად, მოცემულია:

What is the fruit the teacher is showing? - რომელ ხილს აჩვენებს მასწავლებელი ბავშვებს?
A. apple B. peach C. cherry D. pear

სწორი პასუხია A. apple, რადგან ფოტოზე ვხედავთ ვაშლს.

#5 საბაზისო ლექსიკურ-გრამატიკული ქვიზი- Choose the correct answer.

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

ბოლო დავალება ამოწმებს საბაზისო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების ცოდნას. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სწორი ენობრივი ფორმა.

მაგალითად, მოცემულია:
I _____ watching TV now.
A. am B. is C. are D. be

სწორი პასუხია **A. am**.